თქვენ უნდა იცოდეთ თქვენი
უფლებები

მე, საქართველოს მოქალაქე

თბილისი
2009

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მეორე გამოცემას სამართლებრივი პუბლიკაციების სერიიდან “თქვენ უნდა იცოდეთ თქვენი უფლებები”, რომელიც გამოიცემა საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაციის მიერ, პროექტის ფარგლებში “ქალები და ახალგაზრდები პროგრესისაა და დემოკრატიული ცვლილებისათვის”, პროექტი ფინანსდება ევრო კომისიის მიერ.

მოცემული გამოცემა მიზნად ისახავს გააცნოს მოსახლეობას მათი სამოქალაქო უფლებები.

გამომცემელი:
საქართველოსსაერთაშორისოახალგაზრდული ასოციაცია
წიგნზე მუშაობდნენ:
ედგარი ბითბუნოვი, ირინა სოროკინა

საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, პასპორტი)

2. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, საცხოვრებელიადგილისმიხედვითრეგისტრაციისდამადასტურებელი საბუთი) ან დადგენილი წესით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ.

3. 2 ცალი ფოტოსურათი 3/4

4. საქართველოში სამუშაო ადგილის ან რაიმე უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. სახელმწიფო ბაჟი 60 ლარი

6. საქართველოს მოქალაქეობის მსურველმა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქალაქეთა საკითხთა კომისიას უნდა ჩააბაროს გამოცდა სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის ცოდნის შესამოწმებლად.

იუსტიციის სამინისტროში საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხს განიხილავს მოქალაქეობისადაიმიგრაციისსაკითხთაკოლეგია, რომელიც ამზადებს დასკვნას. მომზადებული დოკუმენტაცია ხელმოსაწერად გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, მისი ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტაცია ბრუნდება იუსტიციის სამინისტროში, რომელიც გაიცემა 3 დღის ვადაში, მოქალაქეო-

ბის მიღების საკითხის განხილვისათვის კანონით დადგენილია ექვსთვიანი ვადა.

საქართველოს მოქალაქეობის აღსადგენად წარსადგენი დოკუმენტები:

1. დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ იგი კანონის შესაბამისად ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ.
2. კომპეტენტური ორგანოს ბრალით საქართველოს მოქალაქეობის არამართზომიერი შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. მშობლების არჩევანის შედეგად მოქალაქეობის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. განცხადების შეტანის პერიოდისათვის საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი
6. 2 ცალი ფოტოსურათი ზომით 3/4
7. სახელმწიფო ბაჟი 60 ლარი
8. საქართველოს მოქალაქეობის მსურველმა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქალაქეთა საკითხთა კომისიას უნდა ჩააბაროს გამოცდა სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის ცოდნის შესამოწმებლად.

იუსტიციის სამინისტროში საქარველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხს განიხილავს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგია, რომელიც ამზადებს დასკვნას. მომზადებული დოკუმენტაცია ხელმოსაწე-

რად გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, მისი ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტაცია ბრუნდება იუსტიციის სამინისტროში, რომელიც გაიცემა 3 დღის ვადაში, მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვისათვის კანონით დადგენილია ექვსთვიანი ვადა.

საქართველოს მოქალაქედ ითვლება:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის (1993 წლის 25 მარტი), თუ ექვსი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე.

ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შედეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და ამდენად ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის "ა" პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

"ა" პუნქტით მოქალაქეობის დადგენისთვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. საქართველოში არანაკლებ 5 წლით მუდმიად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, პასპორტის, სამხედრო ბილეთის, ძრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ანდა იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);

2. კანონის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი

3. ცნობა საპასპორტო სამსახურიდან იმის შესახებ, რომ დაინტერესებულ პირს კანონით დადგენილ ვადაში უარი არ განუცხადებია საქართველოს მოქალაქეობაზე:

4. 2 ფოტოსურათი ზომით - 3/4

5. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი 10 ლარი, ანგარიში 507121303 იუსტიციის სამინისტრო, კოდი 3116.

"ბ" პუნქტით მოქალაქეობის დადგენისთვის კი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. საქართველოში დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლის საპასპორტო მონაცემები);

2. 1991 წლის 21 დეკემბრამდე საქართველოში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი

3. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ცნობა ამ ქვეყნის მოქალაქეობის არქონის შესახებ;

4. 2 ფოტოსურათი ზომით - 3/4

5. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი 10 ლარი, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხი რეგულირდება კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ".

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლებია:

1. პარალელურად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება;

2. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით;

3. საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქისათვის ორი წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საკონსულო აღრიცხვაზე არდადგომა;

საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შესვლა სხვა სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის, მმართველობის ან სახელმწიფო ხელიფუსლების სხვა ორგანოებში;

იუსტიციის სამინისტროში საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს განიხილავს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგია, რომელიც ამზადებს დასკვნას. მომზადებული დოკუმენტაცია ხელმოსაწერად გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, მისი ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტაცია ბრუნდება იუსტიციის სამინისტროში, რომელიც გაიცემა 3 დღის ვადაში, მოქალაქეობის დაკარგვის საკითხის განხილვისათვის კანონით დადგენილია ექვსთვიანი ვადა.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისათვის წარსადგენი დოკუმენტები:

1. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს

მოქალაქის პასპორტი, ყოფილი სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტი, რეგისტრაციის (ჩაწერის) დამადასტურებელი დოკუმენტის) ასლს

2. ცნობა იმის შესახებ, რომ იგი დადგენილი წესით არ არის გაწვეული სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად

3. კომუნალური ან სხვა სახის დავალიანების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი

4. გვარის გამოცვლის შემთხვავაში გვარის გამოცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი

5. არასრულწლოვანი პირის საქართველოს მოქალაქობიდან გასვლის შემთხვევაში - მისი დაბადების მოწმობის ასლი, აგრეთვე, დაინტერესებულ პირთა წერილობითი თანხმობა და სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგამოების დასტური არასრულწლოვანი პირის ამ სახელმწიფოს მოქალაქედ მიღების შესაძლებლობის თაობაზე.

6. 2 ფოტო სურათი 3/4

7. სახელმწიფო ბაჟი 60 ლარი

არასრულწლოვანი პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში, საჭიროა მისი დაბადების მოწმობის ასლი, აგრეთვე, დაინტერესებულ პირთა წერილობითი თანხმობა და სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების დასტური არასრულწლოვანი პირის ამ სახელმწიფოს მოქალაქედ მიღების შესაძლებლობის თაობაზე.

იუსტიციის სამინისტროში მოქალაქეობიდან გასვლის საკითხს განიხილავს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგია, რომელიც ამზადებს დასკვნას. მომზადებუ-

ლი დოკუმენტაცია ხელმოსაწერად გადაეგ-ზავნება საქართველოს პრეზიდენტს, მისი ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტაცია ბრუნ-დება იუსტიციის სამინისტროში, რომელიც გაიცემა 3 დღის ვადაში, მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისათვის კანონით დადგენილია ექვსთვიანი ვადა.

უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართვე-ლოს მოქალაქეობის მინიჭება

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტი-ლებით, საქართველოს მოქალაქეობა შეიძ-ლება იმავდროულად მიენიჭოს უცხო ქვეყ-ნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინ-ტერესებიდან. პირი, საქართველოს მოქალა-ქეობის მინიჭების განცხადებით (იხილე განც-ხადების ფორმა) მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს პირადადადანსაკონსულოდაწესე-ბულების მეშვეობით.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ავტობიოგრაფია;

ბ) პასპორტის ასლი;

გ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

დ) ორი ფოტოსურათი.

თუ წარდგენილი დოკუმენტაცია არასრუ-ლყოფილია, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საკონსულო დაწესებულება ვალდებულნი არიან აღნიშნული სამი დღის ვადაში აცნო-ბონ განმცხადებელს.

განცხადებას ორი თვის ვადაში განიხილავს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებას განმცხადებელი პირის საქართველოს კონსტიტუციისმე-12მუხლისმე-2პუნქტისმოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორი თვით.

საქართველოს პრეზიდენტი საკითხის წინასწარ განხილვას და მასალების მოსამზადებას ერთი კვირის ვადაში გაკარგულებით ავალებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. განკარგულების გამოუცემლობა ჩაითვლება უარის თქმად. დასკვნა, უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ან მასზე უარის თქმის შესახებ, სამი დღის ვადაში მზადდება მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის მიერ და მტკიცდება მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგიაზე. შემდეგ ისევ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო დაუკმაყოფილების შემთხვევაში – განკარგულებას.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დადგენილი მოთხოვნების დაუცველად გამოსცეს განკარგულება უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის წინასწარ

განსახილველად საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებული განცხადების განხილვის და გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

პირს, რომელსაც მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, დებს ფიცს (იხილე ტექსტი) საქართველოს წინაშე. უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხიები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 სექტემბრის №380 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით „უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტს

განცხადება

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მომანიჭოთ საქართველოს მოქალაქეობა.

ჩემ შესახებ გაცნობებთ შემდეგს:

1. სახელი, გვარი

2. ინფორმაცია სახელის, გვარის შეცვლის შესახებ

3. დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

4. დაბადების ადგილი
5. ოჯახური მდგომარეობა
6. მოქალაქეობა
7. განათლება
8. სამუშაო ადგილი, თანამდებობა
9. ნასამართლობა
10. მისამართი, ტელეფონის ნომერი (სამსახურის, სახლის)
11. ვფლობ პასპორტს (სერია, №, თარიღი, ვის მიერ, რა ვადით)
12. განცხადებას თან ვურთავ შემდეგ დოკუმენტებს: (ჩამონათვალი)
პირადი ხელმოწერა
განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია მივიღე (თანამდებობა, ინიციალები, გვარი)
(ხელმოწერა)

საქართველოს მოქალაქის ფიცი

მე, (სახელი, გვარი) ვხდები რა საქართველოს მოქალაქე, ვფიცავ:
ერთგულადვემსახუროსაქართველოს,დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულ ენას, ვალდებულებას ვიღებ პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს.

ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად განცხადების წარდგენის უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან პირს. 18 წლამდე პირთა

საკითხი განიხილება მათი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების ნოტარიალურად დამოწმებული წერილობითი თანხმობა.

დროებითი ბინადრობის ნებართვა

საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა არა უმეტეს 6 წლით საქართველოში 90 დღეზე მეტი ვადით დარჩენის მსურველ იმ უცხოელზე, რომელიც:

ა) საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის, თავისუფალი პროფესიის ადამიანზე;

ბ) საქართველოში ჩამოსულია სამკურნალოდ ან სასწავლებლად;

გ) მოწვეულია შესაბამისი დარგობრივი სამთავრობო დაწესებულების მიერ, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ან ხელოვნების მოღვაწე, და მისი მოწვევა უკავშირდება სახელმწიფო ინტერესებს;

დ) არის საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველი;

ე) იმყოფება საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ;

ვ) არის საქართველოს მოქალაქის ან ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის მეუღლე, მშობელი, შვილი, მშვილებელი, შვილობილი, და, ძმა, პაპა ან ბებია.

წარსადგენი დოკუმენტები:

1. უცხოელისთვის, რომელიც საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას (მათ შორის თავისუფალი პროფესიის ადამიანებს):

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) საქართველოში მუშაობის დამადასტურებელი საბუთი (შრომითი ხელშეკრულება ან სამუშაოზე მიღების სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი); თავისუფალი პროფესიის ადამიანებისთვის ცნობა ბანკიდან, რომელიც ასახავს მათ პირად ანგარიშზე ბოლო ერთი წლის მანძილზე თანხის ბრუნვას;

დ) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი

ე) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ვ) 2 ფოტო 3X4

2. უცხოელისთვის, რომელიც საქართველოში ჩამოსულია სამკურნალოდ ან სასწავლებლად;

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქარ-

თველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) საქართველოს სამკურნალო დაწესებულების ცნობა იმის თაობაზე, რომ პირს ესაჭიროება მკურნალობა საქართველოში ან სასნავლო დაწესებულების ცნობა უცხოელის სასწავლებელში ჩარიცხვის ან სწავლის გაგრძელების თაობაზე (მკურნალობის ან სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობის მითითებით);

დ) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი

ე) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ვ) 2 ფოტო 3X4

3. უცხოელისთვის, რომელიც მოწვეულია შესაბამისი დარგობრივი სამთავრობო დაწესებულების მიერ, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ან ხელოვნების მოღვაწე, და მისი მოწვევა უკავშირდება სახელმწიფო ინტერესებს:

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მოწვევა;

დ) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი

ე) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ვ) 2 ფოტო 3X4

4. უცხოელისთვის, რომელიც არის საქართველოს მოქალაქის მეურვე, მზრუნველი ან იმყოფება საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ;

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი ცნობა;

დ) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი

ე) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ვ) 2 ფოტო 3X4

5. უცხოელისთვის, რომელიც არის საქარ–თველოს მოქალაქის ან ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის მეუღლე, მშობელი, შვილი, მშვილებელი, შვილობილი, და, ძმა, პაპა ან ბებია.

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს

სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთი (დაბადების, ქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის ან სხვა მოწმობა); შესაბამისი პირის საქართველოს მოქალაქეობის ან საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი

ე) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ვ) 2 ფოტო 3X4

• სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ დაინტერესებული უცხოელი მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის სახელზე ავსებს დადგებილი ფორმის განცხადება — შუამდგომლობას.

• საზღვარგარეთ გაცემული დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე ნათარგმნი, ნოტარიალურად დამოწმებული და ლეგალიზებული.

• დროებითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სათანადო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 30 დღეს.

• სახელმწიფო ბაჟი - 180 ლარი. გადახდილი ანგარიშის ნომერზე 200122900; სახაზინო კოდი 300773080 დანიშნულება - დროებითი ბინადრობის ნებართვა

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბა-

თუმის, ვაკის ან საბურთალოს სამსახურებს აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში (930 -1700).

დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ შეგიძლიათ მიმართოთ მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის კანცელარიას საკონტაქტო ტელეფონი 758231.

საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის გაგრძელება ხდება იმავე პირობების შესაბამისად, როგორითაც მისი გაცემა.

მუდმივი ბინადრობის ნებართვა

საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა შეიძლება მიეცეს:

ა) უცხოელს, რომელმაც საქართველოში კანონიერ საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი;

ბ) საქართველოს მოქალაქის მეუღლეს, მშობელს, შვილს, მშვილებელს, შვილობილს, დას, ძმას, პაპას ან ბებიას;

გ) მეცნიერების დარგის მაღალკვალიფიციურსპეციალისტ-ტექნიკოსებს,სპორტსმენებს და ხელოვნების მოღვაწეებს, რომელთა ჩამოსვლა შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.

წარსადგენი დოკუმენტები:

1. უცხოელისთვის, რომელმაც საქართველოში კანონიერ საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) ჯანმრთელობის ცნობები (კეთრი, აივ-ინფექცია/შიდსი, ტუბერკულოზი);

დ) საქართველოში ბოლო 6 წლის განმავლობაში ლეგალურად ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი;

ე) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი;

ვ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ზ) 2 ფოტო 3X4.

2. საქართველოს მოქალაქის მეუღლეს, მშობელს, შვილს, მშვილებელს, შვილობილს, დას, ძმას, პაპას ან ბებიას;

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) ჯანმრთელობის ცნობები (კეთრი, აივ-ინფექცია/შიდსი, ტუბერკულოზი);

დ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი;

ვ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ზ) 2 ფოტო 3X4.

3. უცხოელი, რომელიც არის მეცნიერების დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ტექნიკოსი, სპორტსმენი და ხელოვნების მოღვაწე, რომლის ჩამოსვლა შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.

ა) უცხოელის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ასლი;

ბ) საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუ პირი განცხადების წარდგენისას იმყოფება საქართველოში (საქართველოს ვიზა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღდამღა ან სხვ.);

გ) ჯანმრთელობის ცნობები (კეთრი, აივ-ინფექცია/შიდსი, ტუბერკულოზი);

დ) საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მოწვევა;

ე) ლეგალური შემოსავლის დოკუმენტი;

ვ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ზ) 2 ფოტო 3X4.

• სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ დაინტერესებული უცხოელი მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის სახელზე ავსებს დადგებილი ფორმის განცხადება — შუამდგომლობას.

• საზღვარგარეთ გაცემული დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე ნა-

თარგმნი და ნოტარიალურად დამოწმებული.

• მუდმივი ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სათანადო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 3 თვეს.

• სახელმწიფო ბაჟი - 60 ლარი. გადახდილი ანგარიშის ნომერზე 200122900; სახაზინო კოდი 300773080, დანიშნულება — მუდმივი ბინადრობის ნებართვა.

განსაკუთრებული შენიშვნები:

საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მისაღებად სპეციალური ნებართვა არ ესაჭიროება შემდეგი კატეგორიის უცხოელებს:

ა) პირებს, რომლებიც 1993 წლის 27 მარტისათვის მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს მოქალაქეებად არ ჩაითვალნენ, თუ 1993 წლის 27 მარტის შემდეგ არ მოხსნილან საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან;

ბ) პირებს, რომელთაც შეუწყდათ (მოქალაქეობიდან გასვლის ან მოქალაქეობის დაკარგვის ფორმით) საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი მუდმივად საცხოვრებლად რჩებიან საქართველოში.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში (930 -1700).

დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ შეგიძ-ლიათ მიმართოთ მოქალაქეობისა და მიგრა-ციის საკითხთა დეპარტამენტის კანცელარ-იას საკონტაქტო ტელეფონი 758231

ემიგრაციის ნებართვის მისაღებად შუა-მდგომლობა საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს შეაქვს საქართველოს იუსტი-ციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რომე-ლიც, საქმეს განსახილველად გზავნს ამავე სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტში.

შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები: დაბადების მოწმო-ბის ასლი, ქორწინების მოწმობის ასლი, პირა-დობის მოწმობის ასლი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი (ოცდაათი ლარი), ცნობა სამხედრო ვალდებულებიდან გათავისუფლე–ბის შესახებ, 14 დან 18 წლამდე ბავშვის თანხ-მობა ემიგრაციაზე. ხოლო, თუ 18 წლამდე ბავშვი მიემგზავრება ერთ-ერთ მშობელთან ერთად, მეორე მშობლის თანხმობა.

პირს შეიძლება უარი ეთქვას ემიგრაცაზე თუ:

- მის მიმართ აღძრულია სისხლის სამარ-თლის საქმე;
- არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით შეფარდებული სასჯელი;
- არ შეუსრულებია სასამართლოს გადაწ-ყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება;
- წვევამდელი ასაკისაა და არ მოუხდია სამხედრო ბეგარა, თუ კანონით დადგენილი

წესით არა არის გათავისუფლებული ამ სამსახურიდან;

- სამუშაოს ხასიათის გამო მისთვის ცნობილია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებანი და არ გასულა კანონით დადგენილი ვადა იმ დღიდან, რომლიდანაც იგი დაკავშირებული არ არის ამ სამუშაოსთან. ამასთან ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 წელს;
- შუამდგომლობისას წარმოადგენს ყალბ ან ბათილ საბუთებს.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოქალაქის პასპორტში ისმება დამღა აღნიშვნით „მუდმივი გასვლა“ ქართულ და ინგლისურ ენებზე; ასევე ეძლევა ემიგრაციის წერილობითი ნებართვა.

უცხოელი საქართველოდან შეიძლება გაძევებულ იქნას იმ შემთხვევებში, თუ:

- იგი უკანონოდ შემოვიდა საქართველოში;
- აღარ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის სამართლებრივი საფუძველი;
- მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
- მისი გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში კანონიერად მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის;
- იგი სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას;
- მან საქართველოში შემოსვლის ან ყოფნის სამართლებრივი საფუძველი მოიპოვა

ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენით;

• მას ერთი ან რამდენიმე განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა — სასჯელის მოხდის შემდეგ.

უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნას:

• მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში;

• იმ ქვეყანაში, საიდანაც შემოვიდა საქართველოში;

• ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც თანახმაა მიიღოს იგი.

უცხოელი ვალდებულია, გადაწყვეტილების მისთვის გაცნობიდან სამი დღის ვადაში დატოვოს საქართველო. წინააღმდეგ შემთხ–ვევაში, იგი იძულებით გაძევდება და ერთ ნლის განმავლობაში აეკრძალება საქართველოში შემოსვლა.